

გუბერნატორმა გორელ ვეტერანებს 9 მაისი მიულოცა

09 მაისი 2017

ქალაქ გორში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომის გორელ მონაწილეებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს და ომში დაღუპულთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს. ღონისძიებას შიდა ქართლის რწმუნებული-გუბერნატორი, კახა სამხარაძე მოადგილეებთან ერთად ესწრებოდა. ვეტერანების საპატივსაცემოდ საბრძოლო დიდების მუზეუმში ღონისძიება გაიმართება, რომელშიც გორის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის აღსაზრდელები და ანსამბლი „გორი“ იღებდა მონაწილეობას.